ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/14

დაბა ქედა **26 ოქტომბერი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
ტარიელ მანველიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/14

ბიუროს სხდომა

26 ოქტომბერი 2020 წელი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №01-07/14 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის დადგმის შესახებ პეტიციის განხილვის თაობაზე.

ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №01-07/14 ბიუროს სხდომის დღის-წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1. მოისმინეს: დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის დადგმის შესახებ პეტიციის განხილვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის დადგმის შესახებ პეტიცია (შემოსული დოკუმენტი №97/04 15.10.2020 წ) და განმარტა, რომ პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად უნდა გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პეტიცია განეკუთვება საკრებულოს უფლებამოსილებას, შესაბამისად მიზანშეწონილია საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას გადაეცეს შესწავლის მიზნით, რომელიც მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე ან პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე. მიღებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ პეტიციის შესწავლის მიზნით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაზე გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას უყარა კენჭი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
1. დაბის ტერიტორიაზე პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის დადგმის შესახებ პეტიცია შესწავლის მიზნით გადაეცეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

2. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ პეტიციის გადაცემიდან 15 დღის ვადაში განიხილოს და წარმოადგინოს მიღებული გადაწყვეტილება.

3. დაევალოს საკრებულოს აპარატს, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, უზრუნველყოს პეტიციის წარმდგენი სუბიექტის ინფორმირება 5 დღის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და
საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ჰამიდა ზოიძე